სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/45

ქ. თბილისი

29 ივლისი 2025

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ლ.ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის №01-05-04/137 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 29 ივლისის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განმახორციელებელი მოწვეული პროფესორების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) და მასწავლებლების (უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი) შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში აკადემიური დატვირთვის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 416 საათით (კვირაში 16 საათი);
2. სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალის (აკადემიური, მოწვეული პროფესორები, უფროსი მასწავლებელი, მოწვეული სპეციალისტი/მასწავლებელი) საათობრივი დატვირთვის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 780 საათით (კვირაში 30 საათი);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**